რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევენ
რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე
სალამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ
საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება
ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან. ...
თითო ნომერი ... კაპ.
ფასი ...
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ველრდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

კვირას, 11 იანვარს
## მეფე ერეკლე მეორის
გარდაცვალებიდან ასის წლის შესრულების დღეს
სიონის საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქნება
## წირვა და პანაშვიდი
წირვა დაიწყება დილის 10 საათზე

## ქართული თეატრი
კვირას, 11 იანვარს
☛ საზოგადოების სურვილით ☚
I
## სამზადისი
სცენები ქართულ თეატრის დაფუძნების დროისა. პეტრე უმიკაშვილისა
მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| თავ. მიხეილ სვიმონის ძე გორონცოვი | ბ. № |
| კნ. ქეთევან ორბელიანისა | ქ. მესხი |
| კნ. ტასო ორბელიანისა (გაგარინისა) | ქ. კარგარელი |
| ბაბალე ანდრეევსკისა | ქ. ჩერქეზიშვილისა |
| თავ. გიორგი ერისთავი | ბ. მესხი |
| თავ. რევაზ ერისთავი | ბ. გამყრელიძე |
| დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი | ბ. შათირიშვილი |
| პლატონ იოსელიანი | ბ. კანდელაკი |
| ...ფი ილია ორბელიანი | ბ. სვიმონიძე |
| ...ა და ...ტანგ ორბელიანი | ბ. მჭედლიშვილი |
| ...ეილი ჩილიაევი | ბ. გედევანოვი |
| ...გრილ შაიშიევი | ბ. საფაროვი |
| ...სესტვირე | ბ. ადამიძე |
| ...მოსამსახური | ბ. კარბელი |

II
## ძუნწი
კომედია გიორგი ერისთავისა
მონაწილეობენ: ქ-ნნი გამყრელიძისა, გარელისა, ბ-ნნი ვ. აბაშიძე, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, თამაზიშვილი.

III
## კომლი უცეცხლოდ
დრამ. სურათი, თავ. გ. მ. შარვაშიძის მიერ
მონაწილეობენ: ე. ს. მესხი, კარგარელი, კ. მესხი, სვიმონიძე, კანდელაკი, ადამიძე და სხ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე რეჟისორი ქ. მესხი

## „ველისციხე“
საწყობი კახური ღვინოებისა მ. გ. ტარასოვის ბაღებიდან
ტფილისი, ფუშკინის ქ., გენერალ ტერ-ასატუროვის სახლში
ჩვენის საწყობის ღვინოები დაჯილდოვებულია მედლით I-ს კავკასიის ბაღოსნობის გამოფენაზე.
ჩვენს საწყობში მუდმივ იშოვება დიდძალი ძველი ღვინოები მშვენიერის თვისებისა ბოთლი 40 კ., 60, 80 კაპ. და 1 მან.
ჩვეულებრივი ღვინო ბოთლი 15 კაპ. მოყოლებული, თუნგი 70 კაპ. და ვედრო 2 მან.
ვინც ერთბაშად ბევრს ღვინოს იყიდის, მას ღვინო იაფად დაეთმობა.
ქალაქ გარეშე მცხოვრებთა შეკვეთას დროისით და დაუყოვნებ-ივ ვასრულებთ ხოლმე. შეკვეთის დროს საჭიროა ბე წარმოადგინონ.
უმორჩილესად ვსთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას ჩვენის საწყობის ღვინოები გასინჯონ და შეადარონ სხვა სავაჭროთა ღვინოებს და მით დარწმუნდნენ ჩვენის ღვინის სიკარგეში. (10—10)

ფავად-აზნაურობის თეატრი
სამშაბათს, 13 იანვარს
პირველი გასტროლი მთელს ქვეყანაზე განთქმულის დასისა
## ლილიპუტები
(ქონდრის კაცები)
ამ დასის არტისტებს სიმაღლე აქვსთ ერთი ალაბი და 2 გოჯიდამ მოყოლებული ერთ ალაბ 6 გოჯამდე. 21 წლიდამ 28 წლისანი არიან.
უფრო ვრცლად პროგრამებში. (2—1)

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
## ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერხეულიძის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფენიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონზე)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

Пансіонъ и училище
Учительницы
Н. Дидебулидзе
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—58)

პირველი კერძო სამკურნალო.
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ექიმი ქალი რუდენკო $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ყურის ყვავილს.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის $11^1/_2$—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.
ი. ფ. პროტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.
ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. გ. გურკო. დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.
საღამოობით
ა. მ. პედიჩოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.
ბ. ა. ნავასარდიანი 6—$6^1/_2$ ს.
ა. ნ. შპაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ და ზედაკანის ავად.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს ნახველს, სისხლს რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница Д-ра Навасардіана
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, ყელისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

—

პანაშვიდი მეფე ერეკლეს სულის მოსახსენებლად. დღეს, დილით 10 საათზე, სიონის საკრებულო ტაძარში ქართველობა გარდაიხდის წირვას და პანაშვიდს მეფის ერეკლე მეორის სულის მოსახსენებლად.

პანაშვიდი დღეისწორს მცხეთაში მეფე ერეკლეს წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქნება ხელმეორედ დღეისწორს 18 იანვარს მცხეთის ტაძარში, სადაც დაკრძალულია დიდებული მეფე ერეკლე. როგორც ისმის, ამ დღისათვის მცხეთაში დიდძალი ხალხი ემზადება. მწირველად ჩვენი მხცოვანი მღვდელ-მთავარი ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე იქმნება.

*** დღევანდელ ქართულ წარმოდგენაზე ძალიან იყიდება, თურმე, ბილეთები, განსაკუთრებით იაფი ფასიანები. ეჭვი არ არის, დღესაც სავსე იქნება თეატრი, როგორც პირველ იანვარს; მაშინ ბევრი ადგილების უქონლობისა გამო ვეღარ დასწრებიან. დღეს „სამზადისის“ გარდა თამაშობენ გ. ერისთავის კომედიას „ძუნწს“ და გიორგი შარვაშიძის ერთ-მოქმედებიან დრამატიულ სურათს „კომლი უცეცხლოდ“. ამ საღამოზე მონაწილეობას ღებულობენ ყველა მსახიობნი და ეფ. მესხი, ვ. აბაშიძე, კ. მესხი და სხვა.

*** უფასო ნომათი „ცნობის ფურცლისა“. გუშინ და დღეს ჩვენი გაზეთის ხელის მომწერთ, როგორც ქალაქისას აგრეთვე ქალაქ გარეშეთაც დაურიგდათ უფასოდ ჩვენი გაზეთის ნომათი, პატარა წიგნი „მეფე ერეკლეს სახსოვარი.“ (მეფეს გარდაცვალებიდგან ასის წლის შესრულების გამო). წიგნი შეიცავს 48 გვერდს შუათანა ზომისას, პირველს გვერდზედ ჩართული აქვს მეფის სურათი, ჩვენი ისტორიკოსის მოსე ჯანაშვილის პატარა ბიოგრაფიული აღწერა, წესები და თქმულებანი სხვა და სხვა მწერალთა და პოეტთა, რომლებითაც ისურათ-ხატდება დიდებული მეფის ხასიათი და გმირობა. წიგნში მოთავსებულა „მეფე ერეკლეს ქება“ ლექსი ბესარიონ გაბაშვილისა, „ასპინძის ომზედ“ იმისივე, „მეფე ერეკლე“ ლექსი თავ. გრ. ორბელიანისა, „მეფე ერეკლე“ ლექსი თავ. ვახ. ორბელიანისა „ირაკლი და კოსტა ბეგლადი“ ლექსი მისივე „სამი სურათიანი“ ლექსი თავ. რ. ერისთავისა „გლოვა ირაკლისა“ თქმული ლექსად თუშ-ფშავ-ხევსურთა მიერ „გლოვა“ ლექსი ალექ. მოჩხუბარიძისა (ალ. ყაზბეგისა) „ბრძოლა კრწანისს“ ლექსი ვაჟა-ფშაველას პოემიდან «მოხუცის ნათქვამი» «დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა» ლექსი ბესიანასი და «გლოვა ირაკლი მეფისა», სიტყვა თქმული მეფის თანამედროვე და სახელოვანის სოლომონ მსაჯულის მიერ.

*** სტუდენტების სადღესასწაულო სადილი. ორშაბათს, 12 იანვარს, «ტფილისის საკრებულოში» გაიმართება საერთო სტუდენტების სადილი. გაზ. «ნოვ. ობოზ.» გვაუწყებს, რომ ამ სადილზე განზრახვა აქვთ აღძრან კითხვა «კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელის საზოგადოების» დაარსების შესახებ. ამ «საზოგადოების» წეს-დება ორის წლის წინედაც წარუდგინეს მთავრობას, მაგრამ არ დაამტკიცეს. ეხლა ხელ ახლავ აპირებენ კანონ-დებულებათა მოთხოვნილების თანახმად შეადგინონ წეს-დება და წარუდგინონ საცა ჯერ არს განსახილველად.

*** **მ. ი. ზრიბილის გამგზავრება ქუთაისის გუბერნიაში.** კავკასიის მთავარ-მართებლის რჩევის წევრი ტაინი სოვეტნიკი ნ. ი. პრიბილი სამსახურის საქმეებისა გამო იგზავნება ქუთაისის გუბერნიაში.

*** **თვალით ავადმყოფთა ექიმობის შესახებ.** «ბრმათა მზრუნველს საზოგადოებას» განზრახვა აქვს ამიერ კავკასიაში დანიშნოს თვალის ექიმები, რომელთაც დაევალებათ იარონ დაბა-სოფლებში თვალით ავადმყოფთა საექიმოდ. რა თქმა უნდა, ეს განზრახვა ფრიად სასიქადულოა და სასურველია მისი განხორციელება, ვინაიდგან სოფლებში ძრიელ ხშირია თვალით ავადმყოფობა და მათი დახმარება დიდს საჭიროებას წარმოადგენს.

*** **ლილიპუტები სათავად-აზნაურო თეატრში.** ამ თვის 13-დამ სათავად-აზნაურო თეატრში გაიმართება ხოლმე რუს-მოლოროსთა საბალეტო წარმოდგენები ლილიპუტებისა (ქონდრის კაცებისა). აქნობამდე ლილიპუტები ბათომში თამაშობდნენ და საზოგადოებაც დიდ-ძალი ესწრებოდა მათ წარმოდგენებს. საზოგადოდ ლილიპუტთა წარმოდგენები საინტერესოა და, იქვი არ არის, აქაც ბევრი ხალხი ივლის.

*** **ქურდობა აგჭალაში.** 27 დეკემბერს ავჭალაში გაუქურდავთ ადგილობრივი მემამულე ქ-ნი ბასტამოვისა და ჯერ-ჯერობით ქურდები ვერ აღმოუჩენიათ. იქვი არ არის, ქურდები იქვე სოფელში იმალებიან, რადგან იმ დღის აქეთ ქურდ-ბაცაცობა მუდამ დღე დაუწყნარებლად არის: იპარავენ წვრილ ოთხ-ფეხს, ფრინველებს და ოჯახის მორთულობას.

ჯერ-ჯერობით წვრილმან ქურდობას ჩადიან და თუ ადმინისტრაციამ ფიცხელი ზომები არ მიიღო რომ მათ შესაპყრობათ, საშიშია, რომ ეგ ვაჟბატონები ძარცვა-ავაზაკობასაც მიჰყოფენ ხელს.

*** **დედათა ინსტიტუტში** სწავლის ფული კანონის ძალით პანსიონერებმა უნდა გადიხადონ ორ ვადაზე: ნახევარი—იანვარში და მეორე ნახევარი—ივლისში. გარდა ამისა პანსიონერებმა გერმანულის ენისა და მუსიკის სწავლისათვის ზედმეტი გარდასახადი უნდა შემოეტანათ 7 იანვრამდე და ვისაც ეგ არ ეუსრულებია, იმას აღარ ასწავლიან ზემო-აღნიშნულს საგნებს ფულის შემოტანამდე.

*** **ჯამაგირები სამხედრო საერო ადმინისტრაციას.** მთავარ-მართებელს შემდეგი ჯამაგირები დაუნიშნავს ამ წლის 1 იანვრიდამ ამიერ-კავკასიის ადმინისტრაციის ზოგიერთ მოხელეთათვის: ოლქის უფროსებს დაღესტნის თემში, თითოეულს წელიწადში—2700 მან., ოლქის უფროსებს ყარსის თემში—2700 მან., ნაწილის უფროსებს იმავე თემში—1,300 მან., სოხუმის ოლქის უფროსს—4500 მან., იმავე ოლქის ნაწილის უფროსებს—1,300 მან., ბათომისა და ართვინის ოლქის უფროსებს—2,700 მან., იმავ ოლქებში ნაწილის უფროსებს—1,300 მან., ზაქათალის ოლქის უფროსს—4000 მან. და იმავ ოლქის ნაწილის უფროსებს—1350 მან.

*** **შავი ზღვით პურის ფქვილის გადატან-გადმოტანა.** ამა წლის 1 თებერვლიდამ შემოღებულ იქმნება ახალი შემცირებული ნიხრი შავის ზღვით პურის ფქვილის გადატან-გადმოტანისა: ოდესიდამ, სევასტოპოლიდამ, ფეოდოსიიდამ და ნოვოროსსიიკიდამ ერთი ფუთის ფქვილის გადმოტანა ბათომამდე ეღირება—8 კაპ. და ქ. ფოთამდე $9^1/_2$ კაპ.

*** **ოქროს მადნები.** ზაბაიკალის მხარეში 1896 წლის განმავლობაში სულ $244_1/^4$ ხელმწიფე იმპერატორის კაბინეთის საკუთარს მადნებში—128 ფუთი.

*** **ახალი ფული.** სახმარებლად უკვე დარიგდა ახლად მოჭრილი $^1/_2$ კაპეიკიანი შავი ფული.

*** **„კულტუროსანთა“ საბჭოში** ხუთშაბათს, 8 იანვარს, ქალაქის საბჭოს სხდომა ჰქონდა დანიშნული და ჩვეულებრივი, უსაფუძვლო და უთავბოლო «ლაპარაკი» «კულტუროსანთა» ხმოსნებმა შემდეგის ალინჩალიანით დააგვირგვინეს: ხარჯთ აღრიცხვის განხილვის დროს ჩამოვარდა ლაპარაკი ქალაქის ინჟინერებზე და ტეხნიკოსებზე; ხმოსანმა ხუდადოვმა საყვედური განაცხადა ტეხნიკოსები არ ასრულებენ ბეჯითად თავის მოვალეობასო; ამაზე პასუხი გასცა ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა... შეიქმნა ხმაურობა და თავმჯდომარის ზარას უწყალო ჯაფა დაადგა. წამოვარდა ამ დროს ადგილიდამ გაბრაზებული წევრი გამგეობისა ბ. ვერმიშევი და შეჰყვირი: „არ შეიძლება საქმის ეგრე განხილვა, ჯერ შეისწავლეთ, გაეცნეთ საგანს და მერმე ილაპარაკეთ! ხმოსანი ბაბოვი ხშირად უმართებულოთ იხსენიებს ქალაქის ინჟინერებს!“. ხმ. ბაბოვი. როგორა ჰბედავთ, ეგ უზდელობაა!! (ყვირის საშინლად): ბ. ვერმიშევი (ყვირის უფრო მაღლა) თქვენ თითონ როგორ ჰბედავთ მაგების ლაპარაკს?... (თავმჯდომარის ზარ.) ა. ს. ბაბოვი. (ხელებს აქნევს და ჰყვირის) უზრდელობაა! უზრდელობა!.. (ზარა) ბ. ვერმიშევი (ყვირის) უზრდელობა თვით თქვენგან წარმოდგება!.. თქვენ არა გაქვთ უფლება... თქვენ ყოველთვის... ა. ს. ბაბოვი (ხელ-ფეხს აქნევს და ყვირის და თან. თავმჯდომარის ზარა რეკავს გაუწყნარებლივ) არც თქვენა გაქვს უფლება!... ნუ გავიწყდებათ, რომ... (ზარა).

ასტყდა ისეთი აურ-ზაური და ხმაურობა, რომ ძაღლი პატრონს ველარ იცნობდა და ხმოსნები თავმჯდომარეს... თავმჯდომარის ზარა, ხმოსანთა გოდება, მეტოქეთა ლანძღვა-თრევა და კიდევ ვინ იცის რა; აკლდა მხოლოდ ჩარხის ტრიალი და ვირის ღრიალი და სხვა. ზოგნი ბ. ვერმიშევს ეხვევიან, კალთას ეწევიან და ამშვიდებდნენ და ზოგნი ბაბოვს... ერთის სიტყვით ნამდვილი არეულობა იყო... ერთმანერთს კინაღამ ცხვირპირი დაამტვრიეს?.. „კულტუროსანთა“ ხმოსნები შიშით გარედ გარბოდნენ.. ბევრი მათგანი თხოულობდა სხდომა უნდა გადიდვას, მიტის აღელვებულები ვართ და კაცები ვართ, ვირისთავები ხომ არა ვართ, იქნება რამე სლუჩაი მოხდეს, მაგრამ თავმჯდომარემ დასძლია, სხდომა გაგრძელდა ერთის წუთით.

მართალია ამ ბოლოს დროს ევროპის ნამდვილ პარლამენტებში უარესიც ხდება, მაგრამ ჩვენს „კულტუროსანთა“ საბჭოს დავიწყებია, რომ ევროპის ცხოვრებასა და ზნეჩვეულებიდამ კარგი მაგალითებია წასაბაძი და არა დასაძრახი, ერთმანერთის ლანძღვა-თრევას და ც ტყებას საბჭოში კი არა, „არმენსკი ზარში“ უნდა ჰქონდეს ადგილი.

*** **კავკავი.** საღამოს გამართვა საქველმოქმედო მიზნით. სამს იანვარს აქაური ქართული ქალების თაოსნობით კავკავის ქართული სკოლის დარბაზში გამართული იქმნა საცეკვაო საღამო, რომლის შემოსავალი მთლად დანიშნული იყო კავკავის ქართული სკოლის სასარგებლოდ. საღამოს, განურჩევლად ეროვნებისა და წოდებისა, დიდძალი ხალხი დაესწრო, ასე, რომ საკმაოდ ფართო დარბაზი, ყველა ოთახები კოპწიად მოწყობილი სხვა და სხვა გემოზედ და ვრცელი დერეფანი სასადილო ოთახათ მოწყობილი იმ ღლისათვის, სავსე იყო იყო ხალხით. საღამოზედ უკრავდა სამხედრო მუსიკა ღამის სამ საათადის. ხალხი დიდათ ნასიამოვნები ცეკვა-მოლხენით დაიშალა მხოლოდ ექვს-შვიდს საათზედ დილას. ბანქოს მოთამაშენი რვა საათამდის დარჩნენ. წრევანდელმა შემოსავალმა ორასი მანეთით გადააჭარბა შარშანდელს, რაც ერთი მხრით იმისი დამამტკიცებელია, რომ აქაური საზოგადოება საზოგადოთ სასურველს თანაგრძნობას უწევს ამ გვარს საქველ-მოქმედო საქმეებს. ამ ნაირად, ზოგიერთების აზრი სკოლაში საღამოს გამართვის უპირატესობისა გამო, ვიდრე კეთილ-შობილთა საკრებულო დარბაზში, ზედ მიწევნით გამართლდა; ხალხი ყველა უმეტესს ნაწილად ქართველნი და სომხებიც დაურიდებლად მოაწყდა სკოლის დარბაზს და კერძო სიამოვნებასთან არც საზოგადო საკეთილო საქმე დაივიწყეს. საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაურმა სომხებმა ქართველებთან ერთად სასურველი თანაგრძნობა აღმოუჩინეს საღამოს გამართვის საქმეს, ზოგმა შეწირვით თუ სხვა დახმარებით აღასრულეს მეზობლური ვალი. თუ ამისთანა საღამოებს ჩვენი პატივცემულნი მანდილოსნები კვლავაც ბევრჯელ გამართვენ, ანუ წესად შემოიღებენ ყოველ წელიწადს ერთხელ მაინც მართონ საღამოები საქველ მოქმედო მიზნით, სრული იმედია, რომ აქაურნი მკვიდრნი ქართველთა, სომეხთა და სხვა ერისაც ყოველივის სრულს თანაგრძნობას და დახმარებას აღმოუჩენს საღამოს გამართვას, რომლიდგანაც, გარდა კერძო სიამოვნებისა, ყველა ჩვენებურები შინაურულ საქმის გულშემატკივარი, არც იმისთანა სიამოვნებას მოაკლებს თავს, რომელიც იხატება იმ აზრის შეგნებაში,—რომ თვისი წვლილით,ცოტა თუ ბევრი დახმარებით, რამდენიმე საშუალება აღმოუჩინოს ისეთი წმიდა და საშვილიშვილო საქმის კეთილად და ნაყოფიერად წარმართვას, როგორც არის ახალ-მოზარდის კანონიერად აღზრდა განათლების საქმე.

დიდი მადლობის ღირსნი არიან აქაური ქართველი მანდილოსნები, მაგრამ, ჩვენზე არა დამოკიდებულ მიზეზთა გამო, იძულებული ვხდებით ვერც ერთი მათგანი ვერ ვახსენოთ. ჩვენი მიზანია ამ ჟამად საზოგადოდ შთაბეჭდილების აღწერა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა გამართულმა საღამომ დამსწრე საზოგადოებაზე, ხოლო თუ ვის რა ღვაწლი მიუძღვის საღამოს ასე თუ ისე ჩინებულად და სასურველად დაბოლოვების საქმეში, ეს მიგვინდვია საღამოს გამგეთათვის. რომელნიც იმედია წელს მაინცს თავიდგან აიცილებენ ისეთს სამდურავს, საზოგადოებაში პირს იქით კიცხვა ძაგებას და უკადრისად ხსენებას, რომელიც შეხვდა შარშან ერთს კორესპოდენტს შარშანვე გამართულ საღამოს რედაქციაში გამოწერილის მოწერისათვის, რომელშიაც საბრალო რეპორტიორს, ზოგიერთი მშვენიერ სქესისაგან ყბადაღებულს იმ ჟამად, დავიწყებოდა მოეხსენებია საგაზეთო წერილში იმისთანების ღვაწლი საღამოს გამართვის საქმეში, რომელიც იხატებოდა ხელ-სახოცების ნათხოვრობაში. იმედია საღამოს გამგენი ისეთს ანგარიშს დაბეჭდვენ ჩვენს გაზეთში, რომ შეძლებისა და გვარად არავის დასტოვებენ უხსენებლად.

კახაბერი.

*** **სად. ევლახი.** კაცის მოკვლა უეცრად. სწორედ საღამოს რვა საათი და რამოდენიმე წუთი იყო, რომ სადგურის მახლობლად გავარდა თოფი, რომლის შემდეგ გაისმა საშინელი ვაის ძახილი. ხალხი მყისვე გაექანა იქითკენ და დაინახეს, რომ ძირს ეგდო უკვე უსულო გვამი იუზბაშევის ქარვასლის მოიჯარადრე მაშადი-ტალიბი გუსეინოვი. მკვლელის ვინაობა ჯერ არ იციან. გამოძიება სწარმოებს.

ძალიან ადვილად მიაჩნიათ აქ კაცის კვლა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მატარებელი სადგურზე იყო გაჩერებული, ხალხი მოძრაობდა, როდესაც საწყალს მაშადი-ტალიბას ავაზაკმა მოუნახა დრო და იქვე თოფის გასროლით გააფრთხობია სული...

ერმილე ხ—ია

**ბათომი.** გაკოტრდა თუ გამდიდრდა? მთელ ბათომში სომეხ-ვაჭარზე სეით შახბაზოვზედ არის ლაპარაკი. ერთი ამბობს: 200,000 მანეთი წაუღიაო, მეორე—300,000 მანეთი გაუტაციაო, მესამე—გაკოტრდა და ისთე გაიქცაო; ნამდვილი ჯერ არავინ იცის მაგრამ ეს კია, რომ ამ შახბაზოვს ბლომათ ფული მოუგროვებია და ისე გაქცეულა... ვინ იყო ან საიდან მოუხერხებია ამდენი ფულის ხელში ჩაგდება ამ კაცს ეხლავე მოგახსენებთ: სეით შახბაზოვი სომეხია, 1878 წელში ქ. ფოთში იყო შავ მუშათ, (მეკურტნეთ) იქიდან ბათომში გადმოვიდა და აქ-კი თითქმის 18 წელიწადია რაც იჯარადრობას ეწეოდა, ამ ოთხ ხუთ წლის წინათ ნავთის ქარხანა გააწყო ქ. ბათომში, გავარდა სახელი „მდიდარია,“ „სანდო კაცია“. რაკი სახელი გაითქვა, გაიხსნა ნდობა („კრედიტი“) აქაურ ბანკებში, კანტორებში, ვაჭრებში და სხვაგანაც; ჩვენი გემების ფურონი და სანთლების პატრონები წინ და წინ აძლევდნენ ფულს ნავთის ბეთ, რაოდენიმე ასი კაცს მუშას ჰქონდა მასთან ნამუშავარი ფული ასაღები.

ამ შახმაზოვმა ისარგებლა შემთხვევით და ბანკების, კანტორების, ვაჭრების, მეგემეების, მესანდლეების და მრავალ მუშა ხალხის ფულები რაკი შეაგროვა ბლომად, როგორც ამბობენ 300,000 მანათამდე, თავის „სანდო-კაცობა“ ეშმაკს ჩააბარა და ამ ფულებით უჩინარ იქმნა!..

ამბობენ, სპარსეთში გადავიდაო. ზოგნი იმასაც ამბობენ: ბაქოში დაიჭირესო.., აჰა, ესეც ერთი მეტი კულტუროსანთა მტრედი, რომელსაც ხელს აფარებს «ჩერნ. ვესტ.»... რა დავუძახო ამ კაცს, გაკოტრებული თუ გამდიდრებული?

სპირიდონ ხვიჩია

## შემოწირულება

### ქართვ. სტუდენტების სასარგებლოდ

ჩვენ მივიღეთ ქართველ სტუდენ. სასარგებლოდ:

ტარასი იოს. რიჟამაძესაგან 2 მ.

წინანდელი იყო (იხ. „ცნ. ფურც“. № 416) 156 მ. 45 კ.

სულ შემოსულია 158 მ. 45 კ.

მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ოდესის სტუდენტ. თანხა | 71 მ. | 00 |
| პეტერბურგის — — | 32 მ. | 45 |
| ტომსკისა — — — | 12 მ. | 00 |
| კიევისა — — — | 9 მ. | 00 |
| ხარკოვისა — — — | 8 მ. | 00 |
| ყაზანისა — — — | 8 მ. | 00 |
| იურიევისა (დორპატისა) | 8 მ. | [illegible] |

რედაქცია ღებულობს ყოველგვარ წვლილს სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ. მსურველთ შეუძლიანთ შემოწირულება ფოსტის მარკებითაც გამოგზავნონ. შემომწირველთა სია ყოველთვის დაიბეჭდება. შემოწირულება მიიღება ერთი კაპიკიდან მოყოლებული.

ვალერ. გუნია.

## მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალება და დასაფლავება*)

«მამული ველარ იხილავს
ირაკლის ხმალსა მღელვარეს:
დიდება ივერიისა
მასთან მარხია სამარეს!..»

გრ. ორბელიანი

მდინარე ალაზნის ვენახოვანს ვაკეზე მრავალთა ბაღთა შორის მდებარეობს ქალაქი თელავი, რომელიც ოდესმე ითვლებოდა კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქად. თვით ქალაქი გაშენებულია მაღლობზე, რომელიც თელის ხეებით გარე შემორტყმულია; ამ ხეებისაგან მიიღო სახელი ქალაქმა... ქალაქის თეთრი საყდრები და კოშკები მწვანე ხეებს შორის დიდის მანძილიდამ მოსჩანან.

როდესაც ქალაქის გარეთ უბანს გაივლით, რომელსაც სამართლიანად ეწოდებოდა „გარდასუბანი“ და რომელიც ბაღებით შემოზღუდულს გორაკზეა გაშენებული, თქვენ შეხვდე-

*) ნ. დუბროვინის თხ[illegible]ლება: «Георгій XII. послѣд. царь Грузіи» [illegible] I.

...ახლაც თელავის საკმაოდ დიდს ...ს. მას წინ გამოშვერილი აქვს ...ი მრგვალი პატნეზი (бастіонъ). ...ის შუაგულს, მოედანზე აქამომდე დაცულია ქვის შენობის ძველი ...ლები. ეს ციხე სამეფოა, და თვით ...ბა-კი—კახეთის მეფეების ყოფილი სასახლე.

...დესმე სასახლე შესდგებოდა გა...რის, მდიდრულად მორთულის ...ზისაგან, რომელსაც აქეთ-იქით ...და მიდგმული პატარ-პატარა ...თაზები და „ქორები“ აზიურს გემოვნებაზე გაკეთებული... თერთმეტს იანვარს 1798 წელსა ამ ზალაში შე...რიბნენ ქართველები, რომ ეტირათ თვისის მეფის ერეკლე მეორის გარდაცვალება.

ერეკლესათვის, ტფილისის შემდეგ, უსაყვარლესს ადგილ-სამყოფელად ითვლებოდა თელავი, რომელთანაც შეერთებულნი იყვნენ მისნი საუკეთესო მოგონებანი, და მისი ბედნიერი ცხოვრება... ის პირველად კახეთის მეფე იყო და სწორედ იმ დროს მოიპოვა სამხედრო დიდება და ხალხის სიყვარული. დიდხანს ...ცოდა მთელმა კავკასიის აქეთა მხარემ, რომ თელავი იყო კახეთის მრისხანე მეფის სატახტო ქალაქი. თელავში ცხოვრების დროს მან შეაერთა თვისის კვერთხის ქვეშ კახეთის და ქართლის სამეფოები; აქვე მოვიდა ის იმისთვის, რომ გაეტარებია სიცოცხლის დანარჩენი დღეები, ოდეს ბედნიერების ვარსკვლავი გაჰქრა და ის ტფილისში აღა-მაჰმადხანის შემოსევის შემდგომ გამოეშურა თელავს სიწყნარეში მწარე ცრემლების დასაღვრელად, რადგან არ-ღა ჰქონდა ძალა ეცქირა განადგურებულ ტფილისისათვის და მოწამე ყოფილიყო მის მკვიდრთა ტირილისა და გლოვისა.

...სიკვდილის ჟამს ცოტა მოხელეები და მახლობელნი ეხვია ერეკლეს ...მო, მაგრამ მისი საკუთარი ...ახობა-კი იყო მრავალ-რიცხოვანი... ის გამოესალმა სიცოცხლეს იმ დროს, ოდეს ამ ოჯახობაში ხდებოდა შფოთი და უთანხმოება, რასაც არ შეეძლო მოეტანა სარგებლობა მის მიერ შექმნილის მამულისთვის.

მეფის სიკვდილის შემდგომ იმ სათშივე ყველა კარის-კაცები, სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი, რომელნიც-კი თელავში იყვნენ, სასახლეში შეგროვდნენ... იმ ლოგინის წინ, რომელზედაც იდო მიცვალებულის სხეული, გააკეთეს ამაღლებული ადგილი ტახტის მსგავსად; იმაზე დადეს დიდი მდიდრულად შემკული ბალიში და ზედ გადაფინეს ...წეული. ბალიშის მარჯვნივ მოათავსეს ყველა დანარჩენი სამეფო ნიშნები (კვერთხი, გვირგვინი), და მარცხნივ-კი—სამეფო სამკაულნი დაქვრივებულის დედოფლისა მისის მეუღლის ტანისამოსთან და იარაღთან ერთად.

მდაბალს სავარძლებზედ ისხდნენ მოხელეთა ცოლები, თავიდამ ფეხებამდის გრძელს, თეთრს სახვევებში გახვეულნი, გულზე ხელს იცემდნენ და სტიროდნენ მეფის გარდაცვალებას. მარჯვნივ, ქალების პირდაპირ, უფროსობის და ღირსების დაგვარად ისხდნენ სახელმწიფო მოხელენი ჩუმად, სახე—დაღვრემილნი. საპატიო ადგილზედ ისხდნენ მინისტრები და მათ შემდეგ მოწესენი ...ხილის კვერთხებით.

ოთახის ფანჯრიდან მოსჩანდა მეფის საყვარელი ცხენი, მდგომარე სასახლეს ალაყაფის კარებთან, უკუღმა შეკაზმული; ცხენის ახლოს მიწაზედ იჯდა ქუდ-მოხდილი მოხელე.

ოთახში შემოვიდა დედოფალი, რომელსაც ახლდნენ თვისი ღვიძლი შვილები და მახლობელნი. ის მივიდა გარდაცვალებულთან და ამბორ უყო მას; შემდეგ რამდენსამე წამს სტიროდა მიცვლილზედ, იგლეჯდა გულსა, პირის სახეს და თმებსა... ამის შემდეგ ის მიუბრუნდა იქ მყოფთ და ტირილით მოთქმა დაიწყო, თუ როგორი საყვარელი ქმარი დაჰკარგა და თავისს შვილებით ობლად დარჩა სამუდამოდ.—ქვეშევრდომებმა მასში დაჰკარგეს ჰეშმარიტი მამა, ამბობდა დედოფალი. ამასვე ამბობდნენ მასთან მოსულნი. დედოფალი გამოვიდა იმ ოთახიდგან, რომელშიაც ესვენა მიცვალებული, და მივიდა იმ მსახურთან, რომელიც ცხენის ახლოს იჯდა. იმასაც ესევე გაუმეორა და შემდეგ წავიდა თვისს სადგომში. იქ, იატაკზედ, რომელზედაც დაფენილი იყო მშვენიერი ხალი, იჯდა საბრალო ქვრივი, ძამით მოსილი, თმა გაშლილი; ის დაუცხრომლად ტიროდა, თმებს იგლეჯდა, გულზედ ხელს იცემდა და ნაღვლიანის ხმით თვლიდა თვისის ქმრის ღირსებათა და წუხდა თვისს მწარე ხვედრსა... მრავალი ქართველი ქალი ანუგეშებდა მას, მაგრამ მასთან ერთად-კი სტიროდა... ხან გამოშვებით შემოდიოდნე მეფის ნათესავები, მიდიოდნენ დედოფალთან, მუხლთ იყრიდნენ მის წინაშე და თავ-ჩაღუნულნი, იწყებდნენ ქვითინს და ამბობდნენ, თუ როგორ მეგობრულად ცხოვრობდნენ განსვენებულთან, როგორი ღირსეული ადმაიანი იყო იგი და როგორი საზარელი დასაკლისია მისი სიკვდილი ყველასათვის.

— ვინ დავკარგეთ ჩვენ მისის სიკვდილით?—ეკითხებოდა შემოსული იქ მყოფ მტირალს ქალებს და კაცებს—ის არ იყო შავს დღეებში ჩვენი მანუგეშებელი და თანაშემწე, შიმშილის დროს ჩვენი მშველელი და სიხარულის დროს—მიზეზი სიხარულისა?..—ვაი, ვაი—ისმოდა ამის პასუხად.—იმის კეთილი მეუღლე არ იყო მეგობარი და დედა ჩვენი?.. და აწი ჩვენ ვხედავთ ჩვენს დედას დაობლებულს?! კვლავ ტირილი გაისმოდა ამის პასუხად... ამ სიტყვების შემდეგ შემოსული იწყებდა ტირილს და სტიროდა საშინლად. დედოფალთან დამსხდარი ქალებიც მის ტირილს ბანს აძლევდნენ, და ოთახში გაისმოდა სულის გამპობი ტირილი ყოველ ნაირის კილოთი და ხმითა... დაწყნარდებოდნენ... მაგრამ ახალი ვისმეს შემოსვლა გამოიწვევდა ისევ ასეთს ტირილ-გლოვასა...

შავი ჰირი იყო იმ დროს საქართველოში. ამის გამო მეფის გვამი ორმოცი დღე დაუმარხავი იყო. მისი დამარხვა განზრახული იყო მცხეთის საკრებულო ტაძარში, რომელშიაც საქართველოს მეფეები იმარხებოდნენ... სასახლედამ მეფის გვამი მაცხოვრის ძველს ტაძარში (თელავშია) გადმოასვენეს. ამ ეკკლესიის საკურთხეველზედ აქამომდე დარჩენილია კარავი—სწერს ბ. მურავიოვი,—რომლის ქვეშაც ორმოცი დღე ესვენა გვამი დიდის მეფის ერეკლესი.

დასაფლავების დღეს, დილიდგანვე დაიწყო კუბოს ახლოს ტირილი და გლოვა. მთელი სამეფო სახლეულობა და წარჩინებულნი გვამნი, ძაძით შემოსილნი, მონაწილეობას იღებდნენ სამგლოვიარო დასაფლავების წესში.

ყველა წოდების კაცნი მიდიოდნენ მეფესთან უკანასკნელად გამოთხოვებისთვის; ამავე დროს მესაკრავენი სამგლოვიარო ხმას უკრავდნენ; აქვე იყვნენ ორ-წყობად მეზარეები. მეზარეებს წინ მიუძღოდა ძაძით მოსილი მოწესე... ძლიერ ბევრი ხალხი მოგროვდა თელავში ამ დღეს. ყველაზედ წინ მიდიოდა არტილლერია, ამოღებულის, მაგრამ ძირს დაშვებულის ხმლებით და მას უკან მოსდევდა დანარჩენი ჯარი... ჯარის უკან იდგა ორი ჯილავდარი, რომელთაც ერთნაირად შეკაზმული ორი ცხენი ეპირათ. მხრებზედ მათ ჰქონდათ დაკიდული ნაქსოვი საოფლე (ზიმფუში): ორივე იდგა ქუდმოხდილი; ერთს ცხენზედ ეკიდა იარაღი მეფისა და მეორეზედ მისი აბჯარი. აქვე იყვნენ ჯაბადრები (იარაღის მტვირთველნი), ნაზირ-ვეზირნი, მოლარეთ უხუცესნი, მდივნები. ესენი გზის აქეთ და იქით პირს იდგნენ, ქუდ-მოხდილნი და გულგაღელილნი, მწუხარენი, თვალ ცრემლიანნი. ეკკლესიის ახლოს იდგნენ მდივან ბეგები და მსაჯულები, ქართლისა მარჯვნივ და კახეთისა მარცხნივ. იმათ უკან დაახლოვებით იდგა პირველი მწერალი, რომელსაც ვერცხლის სინი ეპირა, ამ სინზედ დადებული იყო ფარჩის ბალიში, რომელზედაც იდო კანონის წიგნი. ეკკლესიასთან ძლიერ ახლოს იდგნენ მანდატურთ უხუცესნი მარჯვნივ და მარცხნივ კი მანდატურთ უხუცესნი საიდუმლო რჩევისანი, რომელთაც ხელში ეპირათ გატეხილი კვერთხები და მწარედ სტიროდნენ.

შემდეგ ორი გუნდი მგალობელთა მარჯვნივ სამეფო და მარცხნივ საპატრიარქო და იმათ უკან სასულიერო წოდება სრულიად საქართველოის კათოლიკოსის მეთაურობით.

სამწუხარო ეტლს წინ მიუძღოდა გვირგვინი და სამეფო ხმალი ბალიშზედ და ვერცხლის სინზედ; სახელმწიფო ღერბი ვერცხლის სინზედ; წმ. ანდრია პირველ წოდებულის ორდენი ვარსკვლავითურთ; კვერთხი და სფერი, ხატები, დროშები და ჯვარი, რომლითაც წინ უძღოდნენ საქართველოს მეფეს გვირგვინის კურთხევის ან ჯვარის წერის დროს...

ეკლესიასთან იდგა ცხედარი, შემოსილი ძვირფასის ფარჩით, ცხედარს ოთხივ კუთხივ მიკერებული ჰქონდა ორთავიანი არწივები. ცხედარს თავზედ ედგა კარავი ძვირფასის შტოფისაგან გაკეთებული; მას ჰქონდა თორმეტი ოქროს ფოჩი ოქროს ზონრებზედ დაკიდული.

როდესაც ყველა გამოეთხოვა მიცვალებულის გვამს, იწყეს ზარების რეკა თელავის საყდრებში, გაისმა თოფ—ზარბაზნის ხმა, და ქართლისა და კახეთის თავადებმა გამოიტანეს კუბო, დაასვენეს ცხედარზედ კუბოს აქეთ-იქით ორი სამეფო დროშა შეამაგრეს და მეფის გვამი მცხეთას წაასვენეს. მცხეთაში მეფის გვამი საკრებულო ტაძარში დაასვენეს.

შიგნით ტაძარი შავად მორთეს და ტაძრის გუმბათზედ კი წითელი ჯვარი აღმართეს. წითელი ჯვარი ხალხის ნუგეშს ნიშნავდა, რომელსაც ის მოიპოვებდა ახალის მეფის ტახტზედ ასვლით... დასაფლავების შემდგომ ორმოცის დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა პანაშვიდი და წირვა ერეკლეს სულის მოსახსენებლად ამ ტაძარში. სამეფო სახლეულობა და სხვა მოხელენი მთელის წლის განმავლობაში ერიდებოდნენ ყოველსავე გართობა შექცევას, დაიყვნეს წვერი, და ბევრს არც ხორცი უჭამია ამ დროს განმავლობაში.

მეფის ძეებმა და ასულებმა გააცილეს ერეკლეს გვამი თვით მცხეთამდის. თელავში კი დარჩა მხოლოდ ერთი დედოფალი დარეჯანი თავისს მომხრეებით, რათა სისრულეში მოეყვანა თვისნი განძრახულებანი (იულონის გამეფების შესახებ) ორმოცდა თორმეტი წელიწადი იმეფა ერეკლე მეორემ. მოხუცებული გვირგვინოსანი მაშინ მწარედ სტიროდა თვისს აოხრებას და განადგურებას და გლოვობდა შვილებს, ცოლებს, ქმრებსა და მამებსა. ერეკლე მეორე გარდაიცვალა მაშინ, როცა საქართველო ოხრავდა აღა-მაჰმად-ხანის მიერ თავ-დასხმის და სამეფო სახლეულობაში უთანხმოებათა და შფოთთა გამო. მას ძლიერ ეპირვებოდა ფრიად ენერგიული მეფე და ისეთის ძლიერის ხასიათისაც, როგორიც ჰქონდა განსვენებულს საქართველოს მეფე ერეკლე მეორეს.

ორინიანი

---

## ყურ-მოკრული საუბრები

—

**გულ-მავიწყობის შედეგი.**—ეგ რასა ჰგავს, ნინო? სამიჯნურო წერილები, როცა ერთი თვეც არ არის, რაც ჯვარი დავიწერეთ?!.

— მაპატიე, ლევან, სრც იმისი ბრალია: დამავიწყდა გამეფრთხილებინა, რომ ეხლა მე ქმრიანი ვარ...

**ახარებული თხოვნა.** გოჯასპირ, საოცრად მაგონებთ ერთს ჩემს ძველს მეგობარს!..

— ალბად ვგევარ?..

— დიახ... იმასაც, აგერ წელიწადზე მეტია ჩემი ორი თუმანი ჰმართებს და იქნება როგორმე გამიბათილოთ!!.

**რაღად გიჩქარო?** ერთს ზანტს დაუძინა ცოლმა:

— კაცო, ცოტა დაუჩქარე, გელოდებიან!

— ჰო და, თუ მელოდებიან, რაღად ავჩქარდე?!.

**სამი მეჩექმე.** ერთს პატარა ქალაქში დაიქირავა ოთახი მეჩექმემ და თავის სახელოსნოს კარებს დააწერა: „საუკეთესო მეწაღე ამ ქალაქში“.

მალე მეორე მეჩექმემაც გამართა იქვე მეზობლად სახელოსნო და წახედულობით იმანაც წააწერა კარებს: „საუკეთესო მეწაღე მთელს დედამიწაზე.“

ბოლოს მესამე მეჩექმეც ჩამოვიდა; ამანაც ორ მოქიშპე მეჩექმეთ შუა დაიქირავა ოთახი და თავის კარებს წააწერა: „საუკეთესო მეჩექმე ამ უბანში.“

---

## სხვა-და-სხვა ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დუელები სტუდენტებში.** ყველამ უწყის, რომ საზოგადოდ გერმანეთში და ავსტრიაში დუელები (ხმალში გასვლა) სტუდენტების შორის მიღებულია და ხშირია, მხოლოდ წრეულს ამ დუელებს სულ სხვა ხასიათი აქვთ ე. ი. პოლიტიკური. ის მსუბუქი დუელები, რომელნიც გერმანელ სტუდენტების შორის უფრო ხმლების ხმარების ვარჯიშობისათვის ხდებოდა ხოლმე, და რომელსაც გერმანელები «მენზურას» უძახიან, წრეულს აქ და სხვა ავსტრიის ქალაქებში სრულებით მოისპო და მის ნაცვლად ფეხი მოიკიდა საუბედუროთ, ფრიად არა სასიამოვნო და თითქმის მხეცურმა დუელმა. ეს უკანასკნელი გარემოება გამოიწვია წრევანდელ ავსტრიის პოლიტიკამ და ბადენის სამინისტროს გაუქმებამ. მკითხველებმა დეპეშებიდან იციან, თუ როგორ გამწვავდა საქმე გერმანელებსა და ჩეხებს შორის. ნახევარი მიზეზი ამ გამწვავებისა იყო დედა-ენა ჩეხებისა. საქმე იქამდის მივიდა, რომ პარლამენტში დეპუტატებმა ერთი-მეორეს ცხვირპირი ჩაამტვრიეს და ისეთი უწესოება მოხდა ყველგან, რომ ჩეხების ქალაქ პრაგაში ომიანობის და შიშიანობის შესაფერი წეს-რიგი შემოიღეს.

ამ გარემოებამ გამოიწვია დემონსტრაციები სტუდენტების და სოციალისტებს მხრივ. გერმანელ სტუდენტების დემონსტრაციები გაუთავებელნი შეიქმნენ როგორც ვენაში, აგრეთვე გრაცში, ლიობენში და სხვა ქალაქებში. ქ. გრაცში გრაფ ბადენის მსგავსი ტიკინი გააკეთეს სტუდენტებმა, ჩამოჰკიდეს ფანარზედ და მერე დაამტვრიეს; ყველა ქუჩებზედ საერო სიმღერებს და „Wachtam Rhein“-ს გაჰკიოდნენ. ბევრგან სტუდენტების და პოლიციის შორის შეტაკებაც მოხდა. გერმანელების შეუფერებელის ქცევით მეტად გაბოროტებულებმა ჩეხებმაც თავის ქ. პრაგაში გადუხადეს უკანასკნელებს. დიდძალმა ბრბომ გერმანელ თეატრისაკენ გასწია, სადაც ფანჯრები დალეწა, შემდეგ გერმანელ მაღაზიებს დაუწყეს მტვრევა, ბევრი გაცარცვეს და ბევრი ცეცხლსაკი მისცეს...

ყველა ეს გახლავთ მიზეზი ამ ჟამად სტუდენტობის შორის დუელების გახშირებისა! სადაც-კი შემთხვევით ნემეცები და პოლონელები ერთად შეიყრებიან, არ შეიძლება, რომ საღამო სასიამოვნოთ დაბოლოვდეს. ერთს აქაურს რესტორანში მე თვითონ რამდენჯერმე დავესწარ პოლონელების და გერმანელების შორის ხმლის ტრიალს; ყველა ამ ნაირ შეტაკებას რასაკვირველია, ხანდისხან სამწუხარო ბოლოც მოჰყვება ხოლმე; ბევრნი მძიმედ დაშავებულნი ჯერაც ავათმყოფნი წვანან; დუელები ხომ გაუთავებელია. სტუდენტების ხმალში სავარჯიშო დიდი ზალი თითქმის საავადმყოფოდ გახდეს; დღე არ გავა ისე, რომ აქ სისხლი არ დაიღვაროს; მე, როგორც ერთად-ერთი ქართველი და ამასთანავე ამათ შორის ყოველ გვარ ინტერესებს დაშორებული, ხშირად მეძლევა შემთხვევა აქაურ დუელებს დავესწრო ხოლმე, ხან პოლონელების,

